

ცხოვრების ხარისხის ცვლილება პირველადი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე
პაციენტებში

ნათელა გულიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქიატრის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყონია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014 წელი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა გულიაშვილი

15.06.2014

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად იცვლება ცხოვრების ხარისხი პირველადი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე პაციენტებში დაავადების გამოვლენიდან პირველი 2 წლის განმავლობაში და დამოკიდებულია თუ არა ის ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის სიმძიმეზე.

კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად. კვლევის პირველ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 32-მა პირველადი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე პაციენტმა. პაციენტების ცხოვრების ხარისხი შეფასდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ცხოვრების ხარისხის სკალის შემოკლებული ვერსიით (WHOQoL), ხოლო ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები პოზიტიური (SAPS) და ნეგატიური (SANS) სიმპტომატიკის შესაფასებელი სკალების მიხედვით.

კვლევამ აჩვენა, რომ 2 წლის მანძილზე, პირველადი ფსიქოზური ეპიზოდის მქონე პაციენტებში ცხოვრების ხარისხის ზოგადი მაჩვენებელი (საწყის ეტაპზე - 60.39) ჯერ გაიზარდა (70.17), შემდეგ კი - შემცირდა (66.01). თუმცა, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა მხოლოდ ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა ($p=0.027$) და გარემო პირობების ($p=0.001$) დომეინებზე.

ნეგატიური სიმპტომატიკა რამდენადმე გაუარესდა, ხოლო პოზიტიური სიმპტომატიკის სიწვავემ იკლო. სამივე კვლევის მიხედვით, სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი კორელაციები გამოვლინდა ფიზიკური კეთილდღეობის დომეინსა და ფსიქოპათოლოგიურ სიმპტომატიკას შორის; და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დომეინსა და პოზიტიურ სიმპტომატიკას შორის.

პაციენტების ცხოვრების ხარისხის დონე ჯანმრთელებთან შედარებით დაბალია. ფსიქოპათოლოგიასა და ცხოვრების ხარისხს შორის კავშირი თვალსაჩინოა.

საკვანძო ცნებები: პირველადი ფსიქოზური ეპიზოდი, ცხოვრების ხარისხი, პოზიტიური და ნეგატიური სიმპტომატიკა.

Abstract

The aim of the research was to investigate the quality of life in patients with first psychotic episode and the follow up changes within the 2 years and the impact of psychopathological symptoms.

The patients with first episode psychosis participated in the study with the intervals of six months within 2 years. At the first stage 32 patients with first psychotic episode have been investigated. The quality of life was assessed by the short version of the World Health Organization Scale of Quality of Life (WHOQoL), and the psychopathological symptoms were assessed by the scales of assessment of positive (SAPS) and negative (SANS) symptoms.

The study showed that during 2 years general indicator of the quality of life in patients with first-episode psychosis (at the initial stage - 60.39) increased (70.17), and then - decreased (66.01). However, statistically significant differences were observed only in domains of psychological well-being ($p = 0.027$) and environmental conditions ($p = 0.001$).

The negative symptoms slightly worsened and severity of positive symptoms decreased. The result of the study revealed a statistically significant negative correlations between physical well-being domain and psychopathological symptoms; and psychological well-being domain and positive symptoms.

Quality of life in patients is lower compared to healthy population. Relation among psychopathology and quality of life is obvious.

Keywords: First psychotic episode, quality of life, positive and negative symptoms.

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა პირს. განსაკუთრებული მადლობა პაციენტებს, კვლევის მიმართ მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის.